

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2011 წლის 19 დეკემბერს (ოქმი №16)

რექტორი პროფ. ბ. მარგველაშვილი

დრამის ფაკულტეტი

დოქტორანტურის აკადემიური საფეხური

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

სადოქტორო პროგრამა

საშემსრულებლო - შემოქმედებითი ხელოვნება (შემოქმედებითი პედაგოგიკა)

კონცენტრაციებით:

1. „დრამის რეჟისურა“ – თეატრალური ხელოვნების დოქტორი; 2. „მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება” – თეატრალური ხელოვნების დოქტორი; 3. „ქორეოგრაფიის ხელოვნება“ – ქორეოგრაფიული ხელოვნების დოქტორი;

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ხელოვნების (შესაბამისი დარგის) დოქტორი (პრაქტიკაზე დაფუძნებული)
მოიცავს შემოქმედებით პროდუქტს (ხელოვნების ნიმუშს/პროექტს – და დისერტაციას;

PhD (includes a thesis) – ArtD (practice-based Doctor of Art).

ანალოგები: სლოვაკეთი, პოლონეთი, ესპანეთი, დანია, ა.შ.

**1. „დრამის რეჟისურა“ – თეატრალური ხელოვნების დოქტორი;
2. „მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება” – თეატრალური ხელოვნების დოქტორი;
3. „ქორეოგრაფიის ხელოვნება“ – ქორეოგრაფიული ხელოვნების დოქტორი;**

სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში სწავლებაცა და სწავლაც შემოქმედებით განვითარებას და კვლევას ემყარება. ზოგიერთ ქვეყანაში (მითითებულია ზემოთ) შემოქმედებითი განვითარება ამ კონტექსტში კვლევის ერთ-ერთ ფორმად ითვლება. მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში შემოქმედებითი განვითარება და კვლევა უმაღლესი განათლების სხვა დისციპლინებთან დაკავშირებული მსგავსი კვლევების ეკვივალენტურად არის აღიარებული, იმისათვის, რომ ამ სფეროში კვლევისა და შემოქმედებითი განვითარების გავრცობა და ახალ სიმაღლეზე აყვანა მოხდეს.

უმაღლესი აკადემიური სახელოვნებო განათლების სწავლების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების ინტეგრაცია. ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ - ჩვევების განვითარება ხელოვნების სხვადასხვა დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლებისას უმაღლესი სახელოვნებო განათლება უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურ

შემოქმედებით მონაცემებს და სასწავლო პროცესს წარმართავს ამ მონაცემების განვითარებისა და სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის პრინციპით.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო **უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე**, რომლის ერთ–ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, აუდიო-ვიზუალური, ქორეოგრაფიული) განვითარება და ამავე დარგების კვლევა, **საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ხელოვნების შესაბამისი დარგების განვითარებასა და კვლევებზე ორიენტირებულ სინთეზურ აკადემიურ პროგრამას, რომლის მიზანია:**

- ხელოვნების თითოეული ფორმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის, მეთოდებისა და მიღწევების შესწავლა და კვლევა;
- ხელოვნების ნაწარმოებების შექმნა და წარდგენა სწავლების, სწავლის და შეფასებების პროცესში;
- სტუდენტებზე მორგებული სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების წახალისება და დანერგვა;
- სწავლების შინაარსობრივი მხარის, მიდგომების და შედეგების მიმართ მრავალფეროვანი დამოკიდებულების ხელშეწყობა;
- შემოქმედებითი აზროვნებისა და პროცესისათვის შესაბამისი სამუშაო სივრცის ათვისება;
- შემოქმედებითი მრავალფეროვნების ხელშეწყობა, დაცვა და აკადემიური საზოგადოების ჩართვა ამ პროცესში;
- ხელოვნებასა და კულტურაში ეთნიკურის, ეროვნულის, ევროპულისა და გლობალურის ცნებებს შორის ზღვრების გამოკვეთა და შესწავლა;
- ახალი ტექნოლოგიებისა და მასმედიის საშუალებების გამოყენება შემოქმედებით ინსტრუმენტებად.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო პროგრამა მოიცავს როგორც შემოქმედებითი პროფილის სხვადასხვა დარგს (თეატრალური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება), აგრეთვე შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებულ კვლევას. ამგვარი კვლევა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელოვნების აღნიშნულ დარგებთან და გულისხმობს ჰუმანიტარულ სამეცნიერო დისციპლინებისაგან განსხვავებულ კვლევის მეთოდებს.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო პროგრამის მიზანია შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები, რომლებშიც სინთეზირებულია თეორიული, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი ასპექტები. ეს პროგრამა თეორიული კვლევისა და შემოქმედებით-პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული დისციპლინების სინთეზს წარმოადგენს. იგი, ასევე, შეიცავს შემოქმედებითი პედაგოგიკის კურსს, რაც დოქტორანტს სძენს შესაბამისი სპეციალობის **მასწავლებლის** კომპეტენციებსაც.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელოვნების დარგებში მაგისტრატურის შემდგომი დონის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისა თუ სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო პროგრამა ***შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ კვლევებზე ორიენტირებული*** სადოქტორო პროგრამაა, რომლის შემადგენელ კონცენტრაციათა შინაარსი და სტრუქტურა თეორიული კვლევისა და შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული დისციპლინების სინთეზირებას ახდენს. დოქტორანტი წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქციას და, ამასთან, ამ პროდუქციასთან დაკავშირებულ საკითხთა კვლევას/ანალიზს, აგრეთვე, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და ექსკლუზიურად სახასიათოა, **ხელოვნების დარგების სწავლებასთან და/ან სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხთა ანალიზსა თუ სწავლების საავტორო მეთოდიკას** (დისერტაციის სახით). კურსდამთავრებულს ენიჭება ***ხელოვნების (დარგის მითითებით) დოქტორის*** აკადემიური ხარისხი **- PhD (includes a thesis) – Art D (practice-based Doctor of Art)**: მაგალითად, **თეატრალური ხელოვნების დოქტორი .**

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)" სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

1. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი);
2. პრაქტიკულ-შემოქმედებითი კომპონენტი (50 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს პრაქტიკულ/შემოქმედებითი პროდუქციის შექმნას და მის წარმოდგენას/პრეზენტაციას;
3. კვლევითი კომპონენტი (70 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს დისერტაციის, ანუ კვლევითი/ანალიტიკური ნაშრომის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში და მის დაცვას/ საჯარო პრეზენტაციას.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მიღების წინაპირობა):

კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი კვალიფიკაციით (საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამისი სპეციალობა). სასურველია მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ამასთან, ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამის დარგში, რაც გაუადვილებს დოქტორანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თავსებადობას.
აუცილებელია უცხო ენის ცოდნა (მინიმუმ B2 დონე).

1. პროგრამული კონცენტრაცია: დრამის რეჟისურა

მისანიჭებელი ხარისხი – თეატრალური ხელოვნების დოქტორი (პრაქტიკაზე დაფუძნებული) – მოიცავს შემოქმედებით პროდუქტს (ხელოვნების ნიმუშს/პროექტს - სპექტაკლს) და დისერტაციას;
PhD (includes a thesis) – ArtD (practice-based Doctor of Art).

ანალოგები: სლოვაკეთი, პოლონეთი, ესპანეთი, დანია, ა.შ.

ხელმძღვანელები: გიორგი მარგველაშვილი,
რეჟისორი, პროფესორი.
მარინა ხარატიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ კვლევასა და ანალიზს, რომელიც თეატრალური ხელოვნების, როგორც ხელოვნების უმნიშვნელოვანესი დარგის პროფესიულ და კონცეპტუალურ განვითარებას უწყობს ხელს. სადოქტორო პროგრამა მოიცავს თეატრალური ხელოვნების ანალიტიკური კვლევის რამდენიმე მიმართულებას. კერძოდ, იგი განკუთვნილია თეატრალური/სასცენო ხელოვნების ისტორიული განვითარების, შემოქმედებითი ფორმების თავისებურებისა და თეატრალური ნიმუშების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების შესწავლისათვის. ამგვარი კვლევების მნიშვნელობას ეროვნული და მსოფლიო კულტურისადმი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულისადმი და ქართული თუ მსოფლიო თეატრალური ტრადიციებისადმი საყოველთაო ინტერესი განსაზღვრავს.
თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი რეჟისორული ხელოვნების ერთ ერთი უმთავრესი ნიშანია. დრამის დღევანდელი დამდგმელი რეჟისორი, უპირველეს ყოვლისა ანალიტიკოსია და ამის შედეგად - პრაქტიკოსი. ფართო ერუდიცია და ანალიტიკური აზროვნება უპირატესად რეალიზდება პრაქტიკულ შედეგში – სანახაობრივ წარმოდგენაში.
თეატრი ხელოვნების კომპლექსური, ის ერთადერთი ფორმაა, რომელიც დანარჩენ დარგებს აერთიანებს და მათ ცოდნას და გაგებას მოითხოვს. თანამედროვე თეატრალური ხელოვნება ყველა პროფილერ დისციპლინას მოიცავს – თეატრის ისტორიასა და დღევანდელობას, დრამისა და თამაშის თეორიას, სახვით ხელოვნებას, დიზაინს, მუსიკას, ქორეოგრაფიას/ცეკვის ხელოვნებას, პლასტიკას, შემოქმედების თეორიასა და პრაქტიკის მრავალ განშტოებას.
თეატრალური ხელოვნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა ხელოვნების ფორმათა მრავალფეროვნებას ქმნის. თეატრალური განათლების სპექტრი მოიცავს პროფესიული სწავლების ტრადიციებს, რომლებიც წარმოდგენილია ინტენსიური სწავლებით, ჯგუფის პედაგოგის მიერ ჩატარებული სასწავლო პროცესით, მასწავლებლის და სტუდენტის კონტაქტით, ოსტატობის ტრადიციაზე დამყარებულ მეთოდოლოგიათა და პროფესიული უნარების აღზრდის აქცენტირებიდან დაწყებული, დამთავრებული აკადემიური სწავლების ტრადიციით, რომელიც სწავლის პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს. ის, ასევე, გულისხმობს სტუდენტის და პედაგოგის კონტაქტს და პროფესიონალიზმის ასპექტში ინდივიდუალურ თვითგამოხატვას. ამ ორ პოლუსს შორის მრავალი სხვა მიდგომა მოიაზრება, რომლებიც ორი ტრადიციის სხვადასხვაგვარი კომბინირებით იქმნება. ნაირფეროვნება

ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი პრაქტიკისათვის, მთლიანად, სისტემური სწავლებისათვის.
სწავლების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლა საშუალებას იძლევა სადოქტორო დონეზე მოხდეს დრამის რეჟისურის კონცეპტუალური და ანალიტიკური გააზრება და მისი, როგორც ინტერპრეტაციულ-მამოდელირებელი საქმიანობის შესწავლა.

პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ–ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო–ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში **„დრამის რეჟისურის“** სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს თეატრალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი – შემოქმედი და ანალიტიკოსი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს თეატრალური პროექტის (სპექტაკლი, შემოქმედებითი პროექტი, სანახაობრივი პერფორმანსი და სხვ.) შექმნასა და თეორიულ – მეთოდოლოგიურ ანალიზს – შემდგომში დარგის განვითარებისა და სწავლების მიზნით.

პროგრამის მიზანი:

„დრამის რეჟისურის“ სადოქტორო პროგრამის მიზანია მომზადდეს თეატრის რეჟისურის ისეთი სპეციალისტი, რომელიც იცნობს თანამედროვე სათეატრო პროცესებს, ერკვევა თეატრის თეორიაში, იცის რეჟისურის ისტორია და თეორია და შეუძლია შემოქმედებითი თეატრალური პროცესის დაგეგმვა, ანალიზი და მართვა (თავად სიტყვის “რეჟისორი” – ფრანგ. rejisseur - “მმართველი” ეტიმოლოგიური საფუძველი სწორედ “მართვაა”).
რეჟისორი-ანალიტიკოსის მომზადება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ის ღრმად გაერკვეს ქვეყნის სოციალურ – პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში, კულტურული და, მათ შორის, თეატრალური მოვლენების ძირითად ტენდენციებში, თეატრალური შემოქმედებითი პროცესი მოიაზროს ერთიანი კულტურული პროცესის კონტექსტში, გაეცნოს და მეცნიერულად გამოიკვლიოს სათეატრო რეჟისურის მიერ განვლილი გზა და განჭვრიტოს მისი უახლოესი თუ შორეული განვითარების პერსპექტივები. იცოდეს თეატრის მხატვრული, ესთეტიკური, სოციალური, შემეცნებითი, თერაპიული, საკომუნიკაციო, რეკრეაციული, ენობრივი თუ სხვა სახის პოტენციალი.
ასეთი ტიპის სპეციალისტი ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციის განვითარებასა და მსოფლიო კულტურულ პროცესებში ქართული თეატრის შემდგომ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ის აღჭურვილი იქნება მხატვრული სათეატრო პრაქტიკის ანალიზისა და კონცეპტუალურ-ანალიტიკური რეჟისურისათვის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური მიდგომებით.

სადოქტორო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია:

პროგრამა მნიშვნელოვანია თავისი არსით, რადგან ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. დოქტორანტები სამი წლის განმავლობაში თეორიული კურსის პარალელურად შემოქმედებით პრაქტიკას გაივლიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრში.

მათ მოემსახურება თეატრის ექსპერიმენტული სცენა, რაც შესაძლებლობას მისცემს მომავალ რეჟისორებსა და პედაგოგებს ლაბორატორიული მუშაობის ახალი სისტემის შემუშავებაში. ისინი პრაქტიკულად აითვისებენ თეატრალური ხელოვნებისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს.
უნივერსიტეტის სასწავლო თეატრში ტრენინგებზე მოწვეულები იქნებიან ძირითადად ევროპის სხვადასხვა თეატრებისა თუ სახელოვნებო/თეატრალური უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, რეჟისორები. ამასთან, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობა გაცვლით პროგრამებზე საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს ჩაერთონ ამ პროცესში. ჩატარდება მასტერკლასები თეატრალურ მხატვრობაზე – სცენოგრაფიაზე, მუსიკასა და ქორეოგრაფიაზე, რომელსაც გაუძღვებიან ამერიკიდან და ევროპიდან მოწვეული პროფესორები. სასწავლო კომპონენტთან ერთად დოქტორანტები იმუშავებენ სარეჟისორო ნამუშავარზე – სპექტაკლზე. ამავდროულად, ისინი მნიშვნელოვან სამუშაოს მიუძღვნიან ანალიზსა და კვლევას.

⟩ სადოქტორო პროგრამის ენა:

“დრამის რეჟისურის” სადოქტორო პროგრამის ენა ქართულია, თუმცა, დაინტერესებულ უცხოენოვან სტუდენტებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსები მიეწოდებათ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

⟩ სადოქტორო პროგრამის შედეგი:

“დრამის რეჟისურის” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **პროფესიული (დარგობრივი) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

1. მას ექნება სათეატრო პროცესებისა და მათი კომპონენტების სისტემური ხედვა და სპექტაკლის მთლიანობის შექმნისა და წინასწარი ანალიზისათვის საჭირო აუცილებელი ცოდნა;
2. შეეძლება დამდგმელი რეჟისორის პროფესიის ძირითადი ასპექტების, ხერხების, მეთოდების თეორიული ანალიზი;
3. ექნება პიესის კითხვის, ინტერპრეტაციისა თუ სასცენო ადაპტაციის თეორიული პრინციპების ცოდნა; ეცოდინება სპექტაკლის მხატვრული ქსოვილის კონსტრუირებისა და სინთეზირების პრინციპები, სპექტაკლის „ტექსტში“ სცენოგრაფიის, მუსიკის, ლიტერატურული ტექსტის, მსახიობის და სხვა კომპონენტების ადგილი, მათი ურთიერთმიმართება და შეკავშირების ფორმები.
4. შეეძლება მსახიობთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, განათების დამდგმელთან თუ სპექტაკლის სხვა მხატვრული კომპონენტების ავტორებთან მუშაობა;
5. ეცოდინება სპექტაკლის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე;
6. შეეძლება შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და სრულფასოვანი მხატვრული პროდუქციის შექმნა;
7. შეეძლება საკუთარი მხატვრული პროექტის ძირითადი არსის, განხორციელების გზებისა და მეთოდების წინასწარი ანალიზი;
8. შეეძლება საკუთარი თუ სხვისი ნაწარმოების ანალიზი და მეთოდოლოგის, კონცეფციის, სტილისტიკის განსაზღვრა, დამოუკიდებელი ხედვის გამოვლენა.
9. შეეძლება სათეატრო პროცესის საჯარო შეფასება-ანალიზის წარმართვა;

“დრამის რეჟისურის” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

10. ექნება საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და პროფესიული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი, შეეძლება მომავალ რეჟისორებთან, მსახიობებთან მუშაობა;
11. შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და საკუთარ პოტენციალზე დამყარებული და ინდივიდუალური ხედვისა და მიდგომის ფორმირება;
12. ექნება კონკრეტულ ამოცანასთან შეძენილი პროფესიული კომპეტენციის ადაპტაციის უნარ-ჩვევა;
13. შეეძლება შემოქმედებითი პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნიზირება;
14. ექნება ანალიტიკური და მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი ჩვევები და ა.შ.

) სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი):

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – თეატრალური ხელოვნების სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;
სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;
ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

დარგობრივი (პროფესიული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება
აქვს თეატრალური ხელოვნების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ხელოვნების დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. იცნობს და აცნობიერებს თეატრალური ხელოვნების დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს. შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად

ფლობს თეატრალური ხელოვნებისათვის სპეციფიკურ (პრაქტიკულ, თეორიულ, ანალიტიკურ და კვლევით) მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია შეიმუშავოს თეატრალურ ხელოვნებაში ახლებური კონცეპტუალური, კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნისა და დარგის სწავლების ახალი მეთოდოლოგიის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევასა და ანალიზს. ასევე დამოუკიდებლად ახორციელებს საშემსრულებლო-შემოქმედებით პროექტს, ქმნის მის კონცეფციას, ექსპლიკაციას და ამ უკანასკნელთა ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე ქმნის სწავლებისა და პრაქტიკული შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ახალ მეთოდოლოგიას.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც თეატრალური ხელოვნების სფეროში სწავლებისა და შემოქმედებითი მუშაობის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა არსებულ ცოდნასთან კავშირში. რთული და სადავო ინფორმაციის და ეფექტური გადაცემა კოლეგებისათვის, შემოქმედებითი პარტნიორებისთვის, დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება თეატრალური ხელოვნების დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში. შეუძლია საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა. ხელოვნების დარგებში არსებული უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე – ავითარებს ახალ იდეებს სწავლის, შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობისა და კვლევისა თუ ანალიზის პროცესში.

ღირებულებები

იკვლევს თეატრალური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს. ქმნის თეატრალური ხელოვნების ახალ ღირებულებებს და მონაწილეობს ახალი ღირებულებების შეფასებაში. ობიექტურად და პროფესიულად აფასებს თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს: სპექტაკლის კონცეფციას, მის სანახაობრივ-ვიზუალურ ასპექტებს (მხატვრულ თუ მუსიკალურ გაფორმებას), უშუალოდ სპექტაკლის

დინამიკასა და ერთიანობას, ზოგადად, ნებისმიერი ფორმატის თეატრალურ წარმოდგენას, დრამატურგიულ ნაწარმოებს, მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობას, თეატრალურ ხელოვნებაში – იდეურ პრიმატს, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას.

) სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:

დარგობრივი (ანუ პროფესიული) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- თეტრალური ხელოვნების დარგობრივი სფეროს ტრადიციების და ისტორიის ცოდნა და გააზრება (სამსახიობო ხელოვნება, თეატრის დიზაინი, თეტრალური დადგმა);
- კონკრეტული სათეატრო განხრის კულტურული და ისტორიული კონტექსტის ცოდნის გამომჟღავნება;
- კონკრეტული თეტრალური სპეციალიზაციის დარგის წამყვანი პრაქტიკოსების (გამორჩეული და ცნობილი პროფესიონალების) შესახებ ცოდნის გამომჟღავნება;
- თეატრის მსახიობის/შემსრულებლის მიერ გამოყენებად ცნობიერ, თუ ქვეცნობიერ რესურსთა ცოდნა და გათვითცნობიერება ამ საკითხში.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- კონკრეტული განხრის სფეროში ტექსტების, გეგმების და ინსტრუქციების გაგება, შეფასება და ჯეროვანი გამოყენება;
- ტექსტის, სცენარის, გეგმის შესაძლებლობების გააზრება და შესწავლა სპექტაკლის/წარმოდგენის, სანახაობრივი პროდუქციის შექმნის პროცესში;
- სპექტაკლის/სანახაობრივი პროდუქციის ტერმინოლოგიის, ტექნიკური საშუალებების, შიდა სტრუქტურების და სამუშაო მეთოდების გაგება და გამოყენების უნარი.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

- ეფექტური და პროდუქტიული მუშაობა ჯგუფთან ერთად;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების (კრეატიულობის) გამომჟღავნება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება დარგობრივი სპეციალიზაციის განხრით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სათანადო უნარ-ჩვევები; მათი გამოყენების და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომჟღავნება;
- პროფესიონალიზმის გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში;
- კურსდამთავრებულები პირადად უმკლავდებიან დიდ დატვირთვას; არ გადადიან დათქმულ ვადებს; აქვთ კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი;
- შეუძლიათ კომპლექსური შემოქმედებითი, პირადი და ინტერპერსონალური პრობლემების ტვირთება და გამკლავება.
-

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თეორიულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ის შეიძლება დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში, იმუშაოს თეატრებში დამდგმელ რეჟისორად, მენეჯერად, შეასრულოს ექსპერტ-ანალიტიკოსის ფუნქციები - მონაწილეობა მიიღოს თეატრის სამხატვრო და სადადგმო პოლიტიკის განსაზღვრის, შემოქმედებითი სტრატეგიისა და რეპერტუარის დაგეგმვის საკითხებში, იმუშაოს ტელევიზიასა და რადიოში, როგორც თეატრალური დადგმებისა თუ გადაცემების დამდგმელმა რეჟისორმა, იმუშაოს პროფესიული კვლევების მიმართულებით.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მიღების წინაპირობა):

კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი თეატრალურ ხელოვნებაში, მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა თეატრალურ ხელოვნებაში, რაც გაუადვილებს დოქტორანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სადოქტორო პროგრამის მოცულობა და სასწავლო კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ევროკრედიტს, რომელთაგან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო 120 კრედიტი – შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ მეცნიერულ ანალიზსა და კვლევას. საკვლევ – ანალიტიკურ საკვალიფიკაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტი წარმოადგენს შემოქმედებით პროექტს - სარეჟისორო ნამუშევარს – სპექტაკლს. აქედან სამეცნიერო ანალიზსა და კვლევას (სადისერტაციო ნაშრომს) ეთმობა 70 კრედიტი, ხოლო სარეჟისორო ნამუშევარს – სპექტაკლს - 50 კრედიტი.
სავალდებულო (სპეციალური) დისციპლინის შესწავლა, ტრადიციული ლექციების ნაცვლად დოქტორანტებთან წარიმართება ძირითადად სემინარების ფორმატით, სადაც მათ ექნებათ თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. კვლევის საგნიდან გამომდინარე, მაძიებლისთვის შეირჩევა დრამის რეჟისურის დისციპლინიდან თემისთვის აუცილებელი ნაწილები, გაღრმავებული სწავლებისათვის. მათ ასევე დაემატებათ მომიჯნავე დისციპლინები საფუძვლიანი ანალიზისათვის. აკადემიური დისციპლინების ღრმა და ინტენსიური შესწავლა შერწყმული იქნება პრაქტიკულ სამუშაოსთან.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლების ხანგრძლივობა – საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” ადგენს სულ მცირე 3 წლის ვადას. დოქტორნტურაში სწავლის ფორმატი მხოლოდ დღის დასწრებული სწავლებაა. რიგ შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის.

⟩ სადოქტორო პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

პროგრამის განსახორციელებლად და სამეცნიერო კვლევებისა და ანალიზის ჩასატარებლად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 1 - 2 დოქტორანტის მიღება, რამდენადაც სახელოვნებო უნივერსიტეტის ფუნდამენტური პრინციპი და მიდგომაა ინდივიდუალური პედაგოგის ხელმძღვანელობით მუშაობა.
უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.
სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სათანადო შემოქმედებითი სტუდია – აუდიტორია.
პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და შემოქმედებითი ოსტატობის (პროფესიონალიზმის) მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალა დაფუძნებულია თეატრალური ხელოვნების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, მათ განკარგულებაშია უნივერსიტეტში არსებული ვიდეოაპარატურა და ფილმოთეკა. შესაძლებელია, მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, თემატურ ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში.
უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, კერძოდ: **„დრამის რეჟისურის”** სადოქტორო პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას.

⟩ სადოქტორო პროგრამის რეზიუმე:

პრაქტიკული შემოქმედებითი სარეჟისორო ნამუშევრის (სპექტაკლის) წარმოდგენისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება **თეატრალური ხელოვნების დოქტორის** აკადემიური ხარისხი.

2. პროგრამული კონცენტრაცია: მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება

მისანიჭებელი ხარისხი – თეატრალური ხელოვნების დოქტორი (პრაქტიკაზე დაფუძნებული) – მოიცავს შემოქმედებით პროდუქტს (ხელოვნების ნიმუშს/პროექტს – სპექტაკლს) და დისერტაციას;
PhD (includes a thesis) – ArtD (practice-based Doctor of Art).

ანალოგები: სლოვაკეთი, პოლონეთი, ესპანეთი, დანია, ა.შ.

ხელმძღვანელები: დავით კობახიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს შემოქმედებით-საშემსრულებლო პრაქტიკაზე დაფუძნებულ კვლევასა და ანალიზს, რომელიც თეატრალური ხელოვნების, როგორც ხელოვნების უმნიშვნელოვანესი დარგის პროფესიულ და სისტემურ განვითარებას უწყობს ხელს. სადოქტორო პროგრამა მოიცავს თეატრალური ხელოვნების ანალიტიკური კვლევის და სწავლების რამდენიმე მიმართულებას. კერძოდ, იგი განკუთვნილია თეატრალური ხელოვნების ისტორიული განვითარების, შემოქმედებითი ფორმების თავისებურებისა და თეატრალური ხელოვნების ნიმუშების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების შესწავლისათვის. ამგვარი კვლევების მნიშვნელობას ეროვნული და მსოფლიო კულტურისადმი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულისადმი და ქართული თუ მსოფლიო თეატრალური ტრადიციებისადმი საყოველთაო ინტერესი განსაზღვრავს.
თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. ამდენად, აღნიშნული პროგრამა თეატრალური ხელოვნების როგორც თეორიული თუ ისტორიული, ასევე პრაქტიკულ-შემოქმედებითი ასპექტების ცოდნას და გაგებას მოითხოვს.
საშემსრულებლო ხელოვნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა ხელოვნების ფორმათა მრავალფეროვნებას ქმნის. თეატრალური განათლების სპექტრი მოიცავს პროფესიული სწავლების ტრადიციებს, რომლებიც წარმოდგენილია ინტენსიური სწავლებით, ჯგუფის პედაგოგის მიერ ჩატარებული სასწავლო პროცესით, მასწავლებლის და სტუდენტის კონტაქტით, ოსტატობის ტრადიციაზე დამყარებულ მეთოდოლოგიათა და პროფესიული უნარების აღზრდის აქცენტირებიდან დაწყებული, დამთავრებული აკადემიური სწავლების ტრადიციით, რომელიც სწავლის პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს. ასევე სტუდენტის და პედაგოგის კონტაქტს და პროფესიონალიზმის ასპექტში ინდივიდუალურ თვითგამოხატვას. ამ ორ პოლუსს შორის მრავალი სხვა მიდგომა მოიაზრება, რომლებიც ორი ტრადიციის სხვადასხვაგვარი კომბინირებით იქმნება. ნაირფეროვნება ერთნაირად უმნიშვნელოვანესია როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი პრაქტიკისათვის, მთლიანად, სწავლებისათვის.
სწავლების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლა საშუალებას იძლევა სადოქტორო დონეზე მოხდეს თეატრალური საშემსრულებლო ხელოვნების კონცეპტუალური გააზრება და მისი, როგორც ინტერპრეტაციულ-მამოდელირებელი საქმიანობის შესწავლა.

პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ–ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო–ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში **„მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების“** სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს თეატრალური საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს თეატრალური ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური მსახიობი – შემსრულებელი და ანალიტიკოსი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს თეატრალურ პროექტში (სპექტაკლი, შემოქმედებითი პროექტი, სანახაობრივი პერფორმანსი და სხვ.) მხატვრული სახის ოსტატობით შექმნასა და თეორიულ – მეთოდოლოგიურ ანალიზს – შემდგომში თეატრალური საშემსრულებლო დარგის განვითარებისა და სწავლების მიზნით.

პროგრამის მიზანი:

„მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების“ სადოქტორო პროგრამის მიზანია მსახიობის ოსტატობის პედაგოგიკაში ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც კარგად იცნობს თანამედროვე სათეატრო პროცესებს, აქვს ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც შესაბამის დარგში საერთაშორისო სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. პროგრამის უმთავრესი მიზანი უნივერსიტეტისათვის კადრების მომზადებაა – მომავალი პროფესორ-მასწავლებლების მომზადება, რომლებიც საფუძვლიანად იცნობენ მსახიობის ხელოვნების ყველა ნიუანსს: მის სპეციფიკას, თავისებურებას და მომავალ მსახიობებს ასწავლონ ამ რთული პროფესიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საფუძვლები. უნდა შეეძლოთ გაიცნონ და გაიაზრონ როგორც ქართული ასევე უცხო ენაზე არსებული ლიტერატურა, მოიპოვონ თანამედროვე მდიდარი ინფორმაცია, შეძლონ მისი გაანალიზება და პრაქტიკული გამოყენება როგორც პედაგოგიურ, ასევე მეცნიერულ საქმიანობაში.

თეატრალური ხელოვნება სინთეზური ბუნებისაა და მომავალი მსახიობისთვის ასევე აუცილებელია ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების ცოდნაც, როგორც მეტყველების კულტურა, ვოკალი, პლასტიკა. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი დოქტორანტისაგან მოითხოვს სტუდენტებთან მუშაობისას გამოიყენოს სწავლების ფართო სპექტრი: ტრადიციული ლექციური, ინდივიდუალური,... ნებისმიერი მიდგომა, რომელიც მომავალი მსახიობის შემოქმედებით გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

პროფესიონალი მსახიობ-შემსრულებლის მომზადება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მან ღრმად იცოდეს თეატრის ისტორია და თეორია, შეძლოს შემოქმედებითი პროცესის პროფესიულ დონეზე წარმართვა და ანალიზი, თეატრალური სახეების მაღალპროფესიული შესრულება და სწავლება. ასევე, იცოდეს თეატრის მხატვრული, ესთეტიკური, სოციალური, თერაპიული, საკომუნიკაციო, ენობრივი თუ სხვა სახის პოტენციალი. ასეთი ტიპის სპეციალისტი ქართული თეატრალური ხელოვნების საუკეთესო ტრადიციის განვითარებასა და მსოფლიო ხელოვნების განვითარების პროცესში ქართული სამსახიობო სკოლის შემდგომ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ის აღჭურვილი იქნება მხატვრული სამსახიობო პრაქტიკის ანალიზისა და კონცეპტუალური სწავლებისათვის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური მიდგომებით.

სადოქტორო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია:

პროგრამა მნიშვნელოვანია თავისი არსით, რადგან ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. დოქტორანტები სამი წლის განმავლობაში თეორიული კურსის პარალელურად პრაქტიკას გაივლიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრსა და შემოქმედებით სახელოსნოებში. რაც შესაძლებლობას მისცემს მომავალ მსახიობ - შემსრულებლებსა და მსახიობის ოსტატობის პედაგოგებს ლაბორატორიული მუშაობის ახალი სისტემის შემუშავებაში. ისინი პრაქტიკულად აითვისებენ მუსიკალური ხელოვნებისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს.

თეორიული კურსის პარალელურად დოქტორანტები – როგორც მომავალი პედაგოგები პრაქტიკას გაივლიან თეატრალური უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტზე. ისინი პერიოდულად, სხვადასვა კურსებზე ჩაატარებენ როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ მეცადინეობებს. თითოეული ლექციის თემა და ფორმატი განისაზღვრება თეორიული პროგრამის კვალდაკვალ. მათ ცალკეულ ლექციებს ამა თუ იმ თემაზე ჩაუტარებენ უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები მსახიობის ოსტატობაში (დრამის, მუზიკლის და თოჯინების განხრით). გათვალისწინებულია საშემსრულებლო დარგის აღიარებული სპეციალისტების (რეჟისორები, მსახიობები) მიერ მასტერკლასების ჩატარება. ასევე, არჩეული თემიდან გამომდინარე, დოქტორანტს საშუალება ექნება დაესწროს არა მარტო სასწავლო თეატრის, არამედ თბილისისა და რეგიონების თეატრებში სპექტაკლებზე მუშაობის პროცესს.

თეორიული კურსის პარალელურად დოქტორანტები – როგორც მომავალი ანალიტიკოს-მეცნიერები, მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტში იქნებიან უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წამყვან სპეციალისტებთან. სახელოვნებო ჟურნალებში გამოაქვეყნებენ წერილებს, მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო კონფერენციებში, დისპუტებში და მოამზადებენ მასალებს სადისერტაციო ნაშრომისათვის.

პროგრამის ფარგლებში ტრენინგებზე მოწვეულები იქნებიან ძირითადად ევროპის სხვადასხვა თეატრებისა თუ თეატრალური უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, მსახიობ-შემსრულებლები. ამასთან, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობა გაცვლით პროგრამებზე საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს ჩაერთონ ამ პროცესში. ჩატარდება მასტერკლასები თამაშის თეორიასა და საშემსრულებლო ხელოვნებაზე, რომელსაც გაუძღვებიან ამერიკიდან და ევროპიდან მოწვეული პროფესორები. სასწავლო კომპონენტთან ერთად დოქტორანტები იმუშავებენ პრაქტიკულ შემოქმედებით პროექტზე – დრამატურგიული ნაწარმოების მაღალპროფესიულ შესრულებაზე. ამავდროულად, ისინი მნიშვნელოვან სამუშაოს მიუძღვნიან ანალიზსა და კვლევას.

სადოქტორო პროგრამის ენა:

“მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების” სადოქტორო პროგრამის ენა ქართულია, თუმცა, დაინტერესებულ უცხოენოვან სტუდენტებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსები მიეწოდებათ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

- **სადოქტორო პროგრამის შედეგი:**

“მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **პროფესიული (დარგობრივი) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

- მსახიობის ოსტატობის პედაგოგისთვის აუცილებელი ცოდნა;
- შეეძლება შეიმუშაოს ახლებური პედაგოგიური თუ კვლევითი მიდგომები, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- შეეძლება სამსახიობო ხელოვნების უახლესი მიღწევების ანალიზი და პრაქტიკაში დანერგვა;
- შეეძლება შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება როგორც პედაგოგიკაში ასევე სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევის სფეროში.
- შეეძლება როგორც პედაგოგიკაში, ასევე სამეცნიერო ასპარეზზე საკუთარი პროექტის განხორციელების გზებისა და მეთოდების წინასწარი ანალიზი;
- მიღებული ინფორმაციის ანალიზის, მეთოდოლოგიის, სტილისტიკის განსაზღვრაში შეეძლება დამოუკიდებელი ხედვის გამოვლენა;
- ექნება მიღებული ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი;
- ექნება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სტუდენტის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, ადაპტაციის უნარი და ა.შ.

“მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **ზოგადი (დარგობრივი) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

- ექნება საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და პროფესიული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი, შეეძლება მომავალ შემსრულებლებთან, მსახიობებთან მუშაობა;
- შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და საკუთარ პოტენციალზე დამყარებული და ინდივიდუალური ხედვისა და მიდგომის ფორმირება;
- ექნება კონკრეტულ ამოცანასთან შეძენილი ცოდნისა და პროფესიული კომპეტენციის ადაპტაციის უნარ-ჩვევა;
- შეეძლება შემოქმედებითი პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნოზირება;
- ექნება ანალიტიკური და მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი ჩვევები და ა.შ.
- **სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი):**

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – თეატრალური ხელოვნების სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის

ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

დარგობრივი (პროფესიული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს თეატრალური ხელოვნების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ხელოვნების დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. იცნობს და აცნობიერებს თეატრალური ხელოვნების დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს. შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობს თეატრალური ხელოვნებისათვის სპეციფიკურ (პრაქტიკულ, თეორიულ, ანალიტიკურ და კვლევით) მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია შეიმუშავოს თეატრალურ ხელოვნებაში ახლებური შემოქმედებითი, პრაქტიკულ-საშემსრულებლო და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნისა და დარგის სწავლების ახალი მეთოდოლოგიის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევასა და ანალიზს. ასევე დამოუკიდებლად ახორციელებს საშემსრულებლო-შემოქმედებით პროექტს, ქმნის შესრულების ინდივიდუალურ სტილს და ამ უკანასკნელთა ანალიზის საფუძველზე ქმნის სწავლებისა და პრაქტიკული შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ახალ მეთოდოლოგიას.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც თეატრალური საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში სწავლებისა და შემოქმედებითი მუშაობის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი
შეუძლია ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა არსებულ ცოდნასთან კავშირში. რთული და სადავო ინფორმაციის და ეფექტური გადაცემა კოლეგებისათვის, შემოქმედებითი პარტნიორებისთვის, დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.
იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება თეატრალური ხელოვნების დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში. შეუძლია საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი
ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა. ხელოვნების დარგებში არსებული უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე – ავითარებს ახალ იდეებს სწავლის, შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობისა და კვლევისა თუ ანალიზის პროცესში.

ღირებულებები
იკვლევს თეატრალური საშემსრულებლო ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს. ქმნის თეატრალური ხელოვნების ახალ ღირებულებებს/მხატვრულ სახეებს და მონაწილეობს ახალი ღირებულებების /მხატვრული სახეების შეფასებაში. ობიექტურად და პროფესიულად აფასებს თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს: საშემსრულებლო ოსტატობას, შესრულების სანახაობრივ-ვიზუალურ ასპექტებს, უშუალოდ შესრულების დინამიკასა და სამსახიობო მონაცემებისა და საშემსრულებლო ოსტატობის ერთიანობას, თეატრალურ ხელოვნებაში – იდეურ პრიმატს, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას.

- **სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:**

დარგობრივი (ანუ პროფესიული) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- სამსახიობო ხელოვნების განვითარების ეტაპების ცოდნა;
- სამსახიობო ხელოვნებაში ძირითადი მიმართულებების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი პრაქტიკულ საქმიანობაში;
- სამსახიობო ხელოვნებაში ცნობილი თეორეტიკოსების და წამყვანი პრაქტიკოსების შეხედულებათა ცოდნა.

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- პროფესიულ საქმიანობაში პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი;

- მუშაობის პროცესში რთული, წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი და ახლებური მიდგომის (გადაწყვეტილებების) მიღების უნარი;
- საგნის გარშემო ახალი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების და მოცემულ ვითარებაში მათი გამოყენების უნარი.
- კონკრეტული განხრის სფეროში ტექსტების, გეგმების და ინსტრუქციების გაგება, შეფასება და ჯეროვანი გამოყენება;
- დრამატურგიული ნაწარმოების ტექსტის, სცენარის, გეგმის შესაძლებლობების გააზრება და შესწავლა თეატრალური სპექტაკლის/წარმოდგენის, სანახაობრივი პროდუქციის შექმნის პროცესში;
- თეატრალური სპექტაკლის/სანახაობრივი პროდუქციის ტერმინოლოგიის, ტექნიკური საშუალებების, შიდა სტრუქტურების და სამუშაო მეთოდების გაგება და გამოყენების უნარი.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

- კონკრეტული სპეციალობის – მსახიობის ოსტატობის განვითარების, თეატრალური ხელოვნების საერთო კონტექსტში განხილვა;
- ჯგუფში მაღალპროფესიული ატმოსფეროს შექმნა;
- თეატრალური ხელოვნების უმთავრესი ნიშნის – კოლექტიური ბუნების და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის უნარი; ეფექტური და პროდუქტიული მუშაობა ჯგუფთან ერთად;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების (კრეატიულობის) გამომუღავნება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის განხრით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სათანადო უნარ-ჩვევები; მათი გამოყენების და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომუღავნება;
- პროფესიონალიზმის გამომუღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში;
- კურსდამთავრებულები პირადად უმკლავდებიან დიდ დატვირთვას; არ გადადიან დათქმულ ვადებს; აქვთ კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი;
- შეუძლიათ კომპლექსური შემოქმედებითი, პირადი და ინტერპერსონალური პრობლემების ტვირთება და გამკლავება.

) სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თეორიულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მიღებული კვალიფიკაცია დოქტორანტს უფლებას ანიჭებს გააგრძელოს პრაქტიკულ - შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობა როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში, მიიღოს მონაწილეობა სათეატრო ხელოვნების მიმართულების უმაღლესი სასწავლებლების თუ კოლეჯების და სტუდიების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. კურსდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა რადიოში, ტელევიზიაში, სახელმწიფო თუ სახალხო თეატრებში, რედაქციებში.
მას ასევე შეუძლია მუშაობა სამეცნიერო-კვლევით სექტორში: როგორც მეცნიერ - ანალიტიკოსმა განაგრძოს მოღვაწეობა კულტურის კვლევებისა და ანალიზის სფეროში.

❯ სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მიღების წინაპირობა):

კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს საშემსრულებლო-შემოქმედებითი მონაცემები, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი თეატრალურ ხელოვნებაში, მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა თეატრალურ ხელოვნებაში, რაც გაუადვილებს დოქტორანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

❯ სადოქტორო პროგრამის მოცულობა და სასწავლო კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ევროკრედიტს, რომელთაგან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო 120 კრედიტი – შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ მეცნიერულ ანალიზსა და კვლევას. საკვლევ - საკვალიფიკაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტი წარმოადგენს პრაქტიკულ შემოქმედებით ნამუშევარს – სპექტაკლს. აქედან სამეცნიერო ანალიზსა და კვლევას (სადისერტაციო ნაშრომს) ეთმობა 70 კრედიტი, ხოლო შემოქმედებით - საშემსრულებლო ნამუშევარს - 50 კრედიტი.

სავალდებულო (სპეციალური) დისციპლინის შესწავლა, ტრადიციული ლექციების ნაცვლად დოქტორანტებთან წარიმართება ძირითადად სემინარების ფორმატით, სადაც მათ ექნებათ თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. კვლევის საგნიდან გამომდინარე, მაძიებლისთვის შეირჩევა მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების დისციპლინიდან თემისთვის აუცილებელი ნაწილები, გაღრმავებული სწავლებისათვის. მათ ასევე დაემატებათ მომიჯნავე დისციპლინები საფუძვლიანი ანალიზისათვის. აკადემიური დისციპლინების ღრმა და ინტენსიური შესწავლა შერწყმული იქნება პრაქტიკულ სამუშაოსთან.

❯ სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლების ხანგრძლივობა – საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ" ადგენს სულ მცირე 3 წლის ვადას. დოქტორნტურაში სწავლის ფორმატი მხოლოდ დღის დასწრებული სწავლებაა. რიგ შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის.

❯ სადოქტორო პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

პროგრამის განსახორციელებლად და სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 1 - 2 დოქტორანტის მიღება, რამდენადაც სახელოვნებო უნივერსიტეტის ფუნდამენტური პრინციპი და მიდგომაა ინდივიდუალური პედაგოგის ხელმძღვანელობით მუშაობა.
უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველი წლის ბიუჯეტში.
სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და

ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სათანადო შემოქმედებითი სტუდია – აუდიტორია.
პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და შემოქმედებითი ოსტატობის (პროფესიონალიზმის) მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალა დაფუძნებულია თეატრალური ხელოვნების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, მათ განკარგულებაშია უნივერსიტეტში არსებული ვიდეოაპარატურა და ფილმოთეკა. შესაძლებელია, მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, თემატურ ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში.
უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, კერძოდ: **„მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების”** სადოქტორო პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას.

) სადოქტორო პროგრამის რეზიუმე:

პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის – სპექტაკლი – საშემსრულებლო ოსტატობა - წარმოდგენისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება **თეატრალური ხელოვნების დოქტორის** აკადემიური ხარისხი.

3. პროგრამული კონცენტრაცია: ქორეოგრაფიის ხელოვნება

მისანიჭებელი ხარისხი – ქორეოგრაფიის ხელოვნების დოქტორი (პრაქტიკაზე დაფუძნებული) – მოიცავს შემოქმედებით პროდუქტს (ხელოვნების ნიმუშს/პროექტს – ქორეოგრაფიული გაკვეთილი, ცეკვის დადგმა) და დისერტაციას;
PhD (includes a thesis) – ArtD (practice-based Doctor of Art).

ანალოგები: სლოვაკეთი, პოლონეთი, ესპანეთი, დანია, რუსეთი ა.შ.

ხელმძღვანელი: შჩა დვალიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი;

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ კვლევასა და ანალიზს, რომელიც ქორეოგრაფიული ხელოვნების, როგორც ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგის პროფესიულ და სისტემურ განვითარებას უწყობს ხელს. სადოქტორო პროგრამა მოიცავს ქორეოგრაფიული ხელოვნების ანალიტიკური კვლევის რამდენიმე მიმართულებას. კერძოდ, იგი განკუთვნილია ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიული განვითარების, შემოქმედებითი ფორმების თავისებურებისა და ქორეოგრაფიული ნიმუშების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების შესწავლისათვის. ამგვარი კვლევების მნიშვნელობას ეროვნული და მსოფლიო კულტურისადმი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულისადმი და ქართული თუ მსოფლიო ქორეოგრაფიული ტრადიციებისადმი საყოველთაო ინტერესი განსაზღვრავს.

თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. ამდენად, აღნიშნული პროგრამა ქორეოგრაფიული ხელოვნების როგორც თეორიული თუ ისტორიული, ასევე პრაქტიკულ-შემოქმედებითი ასპექტების ცოდნას და გაგებას მოითხოვს.

საშემსრულებლო ხელოვნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა ხელოვნების ფორმათა მრავალფეროვნებას ქმნის. ქორეოგრაფიული განათლების სპექტრი მოიცავს პროფესიული სწავლების ტრადიციებს, რომლებიც წარმოდგენილია ინტენსიური სწავლებით, ჯგუფის პედაგოგის მიერ ჩატარებული სასწავლო პროცესით, მასწავლებლის და სტუდენტის კონტაქტით, ოსტატობის ტრადიციაზე დამყარებულ მეთოდოლოგიათა და პროფესიული უნარების აღზრდის აქცენტირებიდან დაწყებული, დამთავრებული აკადემიური სწავლების ტრადიციით, რომელიც სწავლის პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს. ასევე სტუდენტის და პედაგოგის, კონტაქტს და პროფესიონალიზმის ასპექტში ინდივიდუალურ თვითგამოხატვას. ამ ორ პოლუსს შორის მრავალი სხვა მიდგომა მოიაზრება, რომლებიც ორი ტრადიციის სხვადასხვაგვარი კომბინირებით იქმნება. ნაირფეროვნება ერთნაირად უმნიშვნელოვანესია როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი პრაქტიკისათვის, მთლიანად, სწავლებისათვის.

სწავლების სამსაფეხუროვან სისტემაზე გადასვლა საშუალებას იძლევა სადოქტორო დონეზე მოხდეს ქორეოგრაფიული ხელოვნების კონცეპტუალური გააზრება და მისი, როგორც ინტერპრეტაციულ-მამოდელირებელი საქმიანობის შესწავლა.

პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან

სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ–ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო–ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში **„ქორეოგრაფის ხელოვნების“** სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ქორეოგრაფიული საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს ქორეოგრაფიული ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, დამდგმელი ქორეოგრაფი და არტისტი – შემსრულებელი, ამასთანავე - ანალიტიკოსი, რომელიც (შესაბამისი სპეციალობით) უზრუნველყოფს ქორეოგრაფიულ - თეატრალური პროექტის (ქორეოგრაფიული წარმოდგენა, სპექტაკლი, ქორეოგრაფიული შემოქმედებითი პროექტი, ქორეოგრაფიული პერფორმანსი, სოლო შესრულება და სხვ.) ქორეოგრაფიულ გაფორმებას, მხატვრულ-ქორეოგრაფიული დადგმისა თუ სახის ოსტატობით შექმნასა და თეორიულ – მეთოდოლოგიურ ანალიზს – შემდგომში ქორეოგრაფიული საშემსრულებლო დარგის განვითარებისა და სწავლების მიზნით.

პროგრამის მიზანი:

„ქორეოგრაფიის ხელოვნების“ სადოქტორო პროგრამის მიზანია მომზადდეს დარგის ისეთი სპეციალისტი, რომელიც იცნობს, როგორც კლასიკურ-საბალეტო, ასევე ეთნიკურ და თანამედროვე ქორეოგრაფიულ პროცესებს, მათ თვისება-თავისებურებებს, იცის ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და მეთოდიკა. შეუძლია შემოქმედებითი ქორეოგრაფიული პროცესის დაგეგმვა, ანალიზი და მართვა, ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშების მაღალპროფესიული შესრულება და სწავლება.

ქორეოგრაფ პედაგოგის მომზადება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ის ღრმად გაერკვეს დარგის თეორიულ-შემოქმედებით ასპექტებში, ქორეოგრაფიული ხელოვნებისთვის ნიშანდობლივ ისტორიულ და თანამედროვე პროცესებში, ქორეოგრაფიული მოვლენების ძირითად ტენდენციებში, ქორეოგრაფიული პროცესი მოიაზროს ერთიანი კულტურული პროცესის კონტექსტში, გაეცნოს და მეცნიერულად გამოიკვლიოს პედაგოგ-ქორეოგრაფის ხელოვნების მიერ განვლილი გზა და განჭვრიტოს მისი უახლოესი თუ შორეული განვითარების პერსპექტივები. იცოდეს ქორეოგრაფიის მხატვრული, ესთეტიკური, სოციალური, თერაპიული, საკომუნიკაციო, ენობრივი თუ სხვა სახის პოტენციალი.

ასეთი ტიპის სპეციალისტი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციის განვითარებასა და მსოფლიო ქორეოგრაფიულ პროცესში ქართული ქორეოგრაფიული სკოლის შემდგომ ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ის აღჭურვილი იქნება მხატვრული სამუსიკო პრაქტიკის ანალიზისა და კონცეპტუალური სწავლებისათვის აუცილებელი პროფესიული მეთოდოლოგიური მიდგომებით.

სადოქტორო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია:

პროგრამა მნიშვნელოვანია თავისი არსით, რადგან ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. დოქტორანტები სამი წლის განმავლობაში თეორიული კურსის პარალელურად პრაქტიკას გაივლიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიის შემოქმედებით სახელოსნოებში. რაც შესაძლებლობას მისცემს მომავალ ქორეოგრაფ-პედაგოგებს

ლაბორატორიული მუშაობის ახალი სისტემის შემუშავებაში. ისინი პრაქტიკულად აითვისებენ ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს., პროგრამის ფარგლებში ტრენინგებზე მოწვეულები იქნებიან, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ძირითადად ევროპის სხვადასხვა ქორეოგრაფიის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები. ამასთან, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობა გაცვლით პროგრამებზე საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს ჩაერთონ ამ პროცესში. ჩატარდება მასტერკლასები ქორეოგრაფიის ისტორიის, თეორიისა და მეთოდიკის საკითხებზე. სასწავლო კომპონენტთან ერთად დოქტორანტები იმუშავებენ პრაქტიკულ შემოქმედებით პროექტზე –ქართული ცეკვის გაკვეთილის სრულყოფაზე. ამავდროულად, ისინი მნიშვნელოვან სამუშაოს მიუძღვნიან ანალიზსა და კვლევას.

სადოქტორო პროგრამის ენა:

“ქორეოგრაფიული ხელოვნების” სადოქტორო პროგრამის ენა ქართულია, თუმცა, დაინტერესებულ უცხოენოვან სტუდენტებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული კურსები მიეწოდებათ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სადოქტორო პროგრამის შედეგი:

“ქორეოგრაფიული ხელოვნების” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **პროფესიული (დარგობრივი) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

- მას ექნება ქორეოგრაფიის სასწავლო პროცესისა და მისი კომპონენტების სისტემური ხედვა და მათი სწავლებისა და ანალიზისათვის საჭირო აუცილებელი ცოდნა;
- შეეძლება ქორეოგრაფ პედაგოგის პროფესიის ძირითადი ასპექტების, ხერხების, მეთოდების თეორიული ანალიზი;
- ექნება ქორეოგრაფიული ნაწარმოების ჩაწერის, წაკითხვის, სცენაზე აღდგენის, რესტავრაციის თეორიული და პრაქტიკული პრინციპების ცოდნა;
- შეეძლება მოცეკვავე-მსახიობებთან, კომპოზიტორთან, მხატვართან, დრამატურგთან, ეთნოგრაფებთან, ფოლკლორისტებთან, კოლეგებთან თუ შემოქმედებით პროცესში სხვა მხატვრული კომპონენტების ავტორებთან მუშაობა;
- ეცოდინება ესთეტიკურ-მხატვრული სახის შექმნის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები;
- შეეძლება შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და სრულფასოვანი მხატვრული პროდუქციის შექმნა;
- შეეძლება საკუთარი მხატვრული პროექტის ძირითადი არსის, განხორციელების გზებისა და მეთოდების წინასწარი ანალიზი;
- შეეძლება საკუთარი თუ სხვისი ნაწარმოების ანალიზი და მეთოდოლოგის, კონცეფციის, სტილისტიკის განსაზღვრა, დამოუკიდებელი ხედვის გამოვლენა.
- შეეძლება ქორეოგრაფიული პროცესის საჯარო შეფასება-ანალიზის წარმართვა;

“ქორეოგრაფიის ხელოვნების” სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის **ზოგადი (დარგობრივი) კომპეტენცია** შემდეგი კომპონენტებით განისაზღვრება:

- ექნება საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების პედაგოგიური გადაცემისა და პროფესიული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი, სპეციალურ

სასწავლო დაწესებულებებში შეეძლება მომავალი ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობის სტუდენტებთან, მოცეკვავე-მსახიობებთან, შემოქმედებით ქორეოგრაფიულ ანსამბლებში, დრამატულ თეატრებში მუშაობა;

- შეძენილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და საკუთარ პოტენციალზე დამყარებული და ინდივიდუალური ხედვისა და მიდგომის ფორმირება;
- ექნება კონკრეტულ ამოცანასთან შეძენილი პროფესიული კომპეტენციის ადაპტაციის უნარ-ჩვევა;
- შეეძლება შემოქმედებითი პროცესის გააზრებული დაგეგმვა და შედეგების პროგნიზირება;
- ექნება ანალიტიკური და მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი ჩვევები და ა.შ.

- **სადოქტორო პროგრამის კვალიფიკაციის აღმწერი (დესკრიპტორი):**

ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება – ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

დასკვნის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი - ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები - ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

დარგობრივი (პროფესიული) კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

აქვს ხელოვნების ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ხელოვნების დარგში რეფერირებად საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. იცნობს და აცნობიერებს ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში არსებულ უახლეს მიღწევებს. შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა. სრულად ფლობს

ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის სპეციფიკურ (პრაქტიკულ, თეორიულ, ანალიტიკურ და კვლევით) მეთოდებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია შეიმუშავოს ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ახლებური კონცეპტუალური, კვლევითი და ანალიტიკური მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნისა და დარგის სწავლების ახალი მეთოდოლოგიის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევასა და ანალიზს. ასევე დამოუკიდებლად ახორციელებს საშემსრულებლო-შემოქმედებით პროექტს, ქმნის მის კონცეფციას, შესრულების სტილს და ამ უკანასკნელთა ფუნდამენტური ანალიზის საფუძველზე ქმნის სწავლებისა და პრაქტიკული შემოქმედებითი პროექტების განხორციელების ახალ მეთოდოლოგიას.

არგუმენტირებული დასკვნის უნარი

კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში სწავლებისა და შემოქმედებითი მუშაობის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; აქვს უნარი, პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა არსებულ ცოდნასთან კავშირში. რთული და სადავო ინფორმაციის და ეფექტური გადაცემა კოლეგებისათვის, შემოქმედებითი პარტნიორებისთვის, დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში. შეუძლია საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

ადეკვატურად აფასებს, გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების პროცესს და იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს; შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა. ხელოვნების დარგებში არსებული უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე – ავითარებს ახალ იდეებს სწავლის, შემოქმედებითი და პროფესიული საქმიანობისა და კვლევისა თუ ანალიზის პროცესში.

ღირებულებები

იკვლევს ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს. ქმნის ქორეოგრაფიული ხელოვნების ახალ ღირებულებებს და მონაწილეობს ახალი ღირებულებების შეფასებაში. ობიექტურად და პროფესიულად აფასებს ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს: საშემსრულებლო ოსტატობას, შესრულების სანახაობრივ-

ვიზუალურ ასპექტებს, უშუალოდ შესრულების დინამიკასა და ვოკალური მონაცემებისა და საშემსრულებლო ოსტატობის ერთიანობას, ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში – იდეურ პრიმატს, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას.

❯ სადოქტორო პროგრამის კომპეტენციები:

დარგობრივი (ანუ პროფესიული) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

საგნის ცოდნა და გაცნობიერება (გააზრება):

- ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგობრივი სფეროს ტრადიციების და ისტორიის ცოდნა და გააზრება;
- კონკრეტულიქორეოგრაფიული განხრის კულტურული და ისტორიული კონტექსტის ცოდნის გამომჟღავნება;
- კონკრეტული საშემსრულებლო სპეციალიზაციის დარგის წამყვანი პრაქტიკოსების (გამორჩეული და ცნობილი პროფესიონალების) შესახებ ცოდნის გამომჟღავნება;

პრაქტიკასთან დაკავშირებული კომპეტენციები:

- კონკრეტული განხრის სფეროში ტექსტების, გეგმების და ინსტრუქციების გაგება, შეფასება და ჯეროვანი გამოყენება;
- ქორეოგრაფიული ნაწარმოების საცეკვაო „ლექსიკის", „ტექსტის", „ლიბრეტოს', კომპოზიციური გეგმის შესაძლებლობების გააზრება და შესწავლა. ქორეოგრაფიული გაკვეთილის, კომპოზიციის, ქორეოგრაფიული სპექტაკლის/წარმოდგენის, სანახაობრივი პროდუქციის შექმნის პროცესში;
- ქორეოგრაფიული გაკვეთილის, საცეკვაო ნომრის, ქორეოგრაფიული სპექტაკლის/სანახაობრივი პროდუქციის ტერმინოლოგიის, ტექნიკური საშუალებების, შიდა სტრუქტურების და სამუშაო მეთოდების გაგება და გამოყენების უნარი.

ზოგადი (ანუ გადანაცვლებადი) კომპეტენციები (უნარ-ჩვევები) :

- ეფექტური და პროდუქტიული მუშაობა ჯგუფთან ერთად;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას შემოქმედებითი უნარ-ჩვევების (კრეატიულობის) გამომჟღავნება;
- პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის განხრით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სათანადო უნარ-ჩვევები; მათი გამოყენების და პოტენციალის შესახებ ცოდნის გამომჟღავნება;
- პროფესიონალიზმის გამომჟღავნება საკუთარი დარგობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში;
- კურსდამთავრებულები პირადად უმკლავდებიან დიდ დატვირთვას; არ გადადიან დათქმულ ვადებს; აქვთ კოლეგებთან მოლაპარაკების, შეთანხმების და მათ გარემოში საკუთარი მიზნის მიღწევის უნარი;
- შეუძლიათ კომპლექსური შემოქმედებითი, პირადი და ინტერპერსონალური პრობლემების ტვირთება და გამკლავება.

❯ სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ის შეიძლება დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში, იმუშაოს ქორეოგრაფიულ ანსამბლებში, სასწავლებლებში, კოლეჯებში, სტუდიებში, წრეებში, როგორც პედაგოგად ასევე დამდგმელ ქორეოგრაფად. შეასრულოს ექსპერტ-ანალიტიკოსის ფუნქციები. -იმუშაოს ტელევიზიასა და რადიოში ქორეოგრაფიაში ცპეციალური გადაცემების მოსამზადებლად, იმუშაოს სხვადასხვა შემოქმედებით და სამეცნიერო დაწესებულებებში ქორეოგრაფიული კვლევების წარმართვის მიზნით.

✓ სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა (მიღების წინაპირობა):

კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს პედაგოგ ქორეოგრაფის მონაცემები, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში, მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში, რაც გაუადვილებს დოქტორანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

✓ სადოქტორო პროგრამის მოცულობა და სასწავლო კომპონენტი:

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ევროკრედიტს, რომელთაგან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო 120 კრედიტი – პრაქტიკაზე დაფუძნებულ მეცნიერულ ანალიზსა და კვლევას. საკვლევ - საკვალიფიკაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტი წარმოადგენს პრაქტიკულ შემოქმედებით ნამუშევარს – ქართული ცეკვის სრულ გაკვეთილს, ქორეოგრაფიულ კომპოზიციას. აქედან სამეცნიერო ანალიზსა და კვლევას (სადისერტაციო ნაშრომს) ეთმობა 70 კრედიტი, ხოლო შემოქმედებით - საშემსრულებლო ნამუშევარს - 50 კრედიტი. სავალდებულო (სპეციალური) დისციპლინის შესწავლა, ტრადიციული ლექციების ნაცვლად დოქტორანტებთან წარიმართება ძირითადად სემინარების ფორმატით, სადაც მათ ექნებათ თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. კვლევის საგნიდან გამომდინარე, მაძიებლისთვის შეირჩევა ქორეოგრაფიული ხელოვნების დისციპლინიდან თემისთვის აუცილებელი ნაწილები, გაღრმავებული სწავლებისათვის. მათ ასევე დაემატებათ მომიჯნავე დისციპლინები საფუძვლიანი ანალიზისათვის. აკადემიური დისციპლინების ღრმა და ინტენსიური შესწავლა შერწყმული იქნება პრაქტიკულ სამუშაოსთან.

✓ სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლების ხანგრძლივობა – საქართველოს კანონი “უმაღლესი განათლების შესახებ” ადგენს სულ მცირე 3 წლის ვადას. დოქტორნტურაში სწავლის ფორმატი მხოლოდ დღის დასწრებული სწავლებაა. რიგ შემთხვევაში დოქტორანტს მიეცემა დამატებითი ვადა კვლევის დასრულებისათვის.

) სადოქტორო პროგრამის მატერიალურ – ტექნიკური ბაზა:

პროგრამის განსახორციელებლად და სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 1 - 2 დოქტორანტის მიღება, რამდენადაც სახელოვნებო უნივერსიტეტის ფუნდამენტური პრინციპი და მიდგომაა ინდივიდუალური პედაგოგის ხელმძღვანელობით მუშაობა.
უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. ფინანსური გეგმა ასახულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში.
სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სათანადო შემოქმედებითი სტუდია – აუდიტორია.
პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტის (მოდული/კურსი და სხვ.) განხორციელება ხდება შესაბამისი კომპეტენციებისა და შემოქმედებითი ოსტატობის (პროფესიონალიზმის) მქონე აკადემიური პერსონალის მიერ. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები უნივერსიტეტში დგინდება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია, აგრეთვე, სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
პროგრამის ფარგლებში სასწავლო მასალა დაფუძნებულია ქორეოგრაფიული და თეატრალური ხელოვნების აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დოქტორანტები იყენებენ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო თეატრს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. ამასთანავე, მათ განკარგულებაშია უნივერსიტეტში არსებული ვიდეოაპარატურა და ფილმოთეკა. შესაძლებელია, მათი მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, თემატურ ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში.
უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, კერძოდ: **„ქორეოგრაფის ხელოვნების (შემოქმედებითი პედაგოგიკა)”** სადოქტორო პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სხელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ის ფინანსური კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ფინანსური სტაბილურობის გარანტიას.

) სადოქტორო პროგრამის რეზიუმე:

პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის–ქორეოგრაფიული გაკვეთილის, საცეკვაო ნომრის წარმოდგენისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ დოქტორანტს ენიჭება **ᲥᲝᲠᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ** აკადემიური ხარისხი.